შპს Geobotanic

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-18 გვერდზე

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 6
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის 7
1.ზოგადი ინფორმაცია 7
2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 7
2.1 მსს ფასზე გადასვლა 8
3. სააღრიცხვო პოლიტიკა 8
3.1 ფუნქციონირებადი საწარმო 8
3.2 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 8
3.3 შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება 9
3.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში 9
3.5 ძირითადი საშუალებები 9
3.6 მარაგები 10
3.7 აქტივების გაუფასურება 10
3.8 ფინანსური აქტივები 10
3.9 ფინანსური ვალდებულებები 11
3.10 საწესდებო კაპიტალი 12
3.11 ამონაგები 12
3.12 ხარჯები 12
3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები 12
3.14 ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება 12
3.15 მოგების გადასახადი 13
3.16 დივიდენდი 13
3.17 უიმედო ვალების რეზერვი 13
3.18 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები 13
3.19 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება 13
4. ძირითადი საშუალებები 14

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები 15
6. სავჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 15
7. მარაგები 15
8. საგადასახადო აქტივები 15
9. სესხები 15
10. სავჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 16
11. საგადასახადო ვალდებულებები 16
12. ამონაგები 16
13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 16
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 16
15. ფინანსური ხარჯები 17
16. სხვა შემოსულობები 17
17. დირექტორსა და თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები 17
18. ფინანსური რისკები 17
19. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ 18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	Note	12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,079,490.00	724,135.00	509,728.00
საინვესტიციო ქონება		-	-	-
არამატერიალური აქტივი		5,099.00	5,523.00	5,948.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები		-	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-	-
		1,084,589.00	**729,658.00**	**515,676.00**
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	18,871.00	251,937.00	336,285.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	651,093.00	691,907.00	716,740.00
მარაგები	7	302,483.00	693,893.00	913,713.00
წინასწარ გაწეული ხარჯები	8	8,189.00	-	-
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	-
სხვა მინდინარე აქტივები		-	-	-
		980,636.00	**1,637,737.00**	**1,966,738.00**
მთლიანი აქტივები		**2,065,225.00**	**2,367,395.00**	**2,482,414.00**
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,458,067.00	1,826,928.00	1,958,520.00
გადაფასების რეზერვი		100.00	100.00	100.00
		1,458,167.00	**1,827,028.00**	**1,958,620.00**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	-	-	263,296.00
		-	**-**	**263,296.00**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	485,927.00	395,927.00	63,974.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	118,482.00	137,954.00	186,295.00
საგადასახადო ვალდებულებები	11	2,649.00	6,486.00	10,229.00
		607,058.00	**540,367.00**	**260,498.00**
მთლიანი ვალდებულებები		**607,058.00**	**540,367.00**	**523,794.00**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**2,065,225.00**	**2,367,395.00**	**2,482,414.00**

დირექტორი /მაგდა ქიბროწაშვილი/

განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 8-18 გვერდზე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	Note	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	12	2,136,168.00	2,382,416.00
თვითღირებულება	14	(1,935,867.00)	(1,964,463.00)
საერთო მოგება		**200,301**	**417,953**
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	15	(475,855.00)	(416,007.00)
მიწოდების დანახარჯები		(43,434.00)	(45,801.00)
სხვა ხარჯები		(12,966.00)	(12,861.00)
საოპერაციო მოგება		**(331,954)**	**(56,716)**
ფინანსური შემოსავალი	17	49,543.00	131,802.00
ფინანსური ხარჯი	16	(86,450.00)	(206,659.00)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(36,907.00)	(74,857.00)
მოგება დაბეგვრამდე		**(368,861.00)**	**(131,573.00)**
მოგების გადასახადი		-	(18.00)
პერიოდის მოგება		**(368,861.00)**	**(131,591.00)**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		**(368,861.00)**	**(131,591.00)**

დირექტორი /მაგდა ქიბროწაშვილი/

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	**-**	**100**	**1,958,519**	**1,958,619**
მოგება წლის ბოლოს	-	-	(131,591)	**(131,591)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(131,591)	**(131,591)**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	**-**
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**100**	**1,826,928**	**1,827,028**
მოგება წლის ბოლოს	-	-	(368,861)	**(368,861)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(368,861)	**(368,861)**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	**-**
აქციების გამოშვება	-	-	-	**-**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**100**	**1,458,067**	**1,458,167**

დირექტორი /მაგდა ქიბროწაშვილი/

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	12/31/2023	12/31/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
- მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,245,105	2,670,029
- მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,939,827)	(1,873,727)
- გადახდილი ხელფასები	(207,811)	(179,305)
- გადახდილი გადასახადები	(420,375)	(439,603)
- დაბრუნებული გადასახადები	23,806	29,770
-საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადახდები	(2,174)	(1,634)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(301,276)**	**205,530**
ფულადი ნა კადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
-ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(280,460)
- ძირითადი საშუალებების გაყიდვა	11,000	3,000
-მიღებული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**11,000**	**(277,460)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
-სესხის აღება	281,000	398,593
- სესხის დაფარვა	(191,000)	(318,406)
- გადახდილი პროცენტები	-	(11,362)
- გადახდილიდივიდენდები	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	**90,000**	**68,825**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	**(32,788)**	**(81,244)**
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	**(233,064)**	**(84,349)**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	**251,936**	**336,285**
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	**18,872**	**251,936**

დირექტორი /მაგდა ქიბროწაშვილი/

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1.ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. Geobotanic (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნებულია სსიპ საჯარო რეესტრში 2013 წლის 23 იანვარს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან დედოფალის (ყოფ. წამებულის) ქ., №71

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან დედოფალის (ყოფ. წამებულის) ქ., №71

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი : 406084231

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში მცენარეებისა და ყვავილების იმპორტი და საბითუმო/საცალო რეალიზაცია. კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს კომერციულ ფართში, რომელიც იჯარით აქვს აღებული და მდებარეობს შემდეგ მისამართებზე: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან დედოფალის (ყოფ. წამებულის) ქ., №71 , ასევე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მფლობელობაში აქვს სასაწყობე ფართი,რომელიც მდებარეობს თბილისი ბ.ჭიჭინაძის I ჩიხში.

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი აჰმეთ მურათ ქაია.
კომპანიას ყავს ორი დირექტორი : აჰმეთ მურათ ქაია და მაგდა ქიბროწაშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი როგორც ეკონომიკური, ასევე ფინანსური ბაზრის ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები მუდმივად განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებას, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისათვის წარმოქმნის გარკვეულ გამოწვევებს და ბარიერებს.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს IFRS for SME) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე , ქართულ ლარში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებული იქნა 2024 წლის 23 სექტემბერს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1 მსს ფასზე გადასვლა

ფინანსური აღიცხვა კომპანიაში დაარსების დღიდან წარმოებს მსს ფასს სტანდარტის ნორმების სრული დაცვით, თუმცა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასის შესაბამისად პირველად მოხდა 2022 წელს, ვინაიდან კომპანია საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად 2022 წლამდე წარმოადგენდა მეოთხე კატეგორიის საწარმოს და ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენდა “მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი“-ს მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საწარმოს შიდა სტანდარტების გათვალისწინებით.

3.1 ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზარებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებას რეგულარულად აქტივების მიწოდებისა და ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულების გზით.

კომპანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომგებიანია, ასევე მომგებიანი იყო წარსულში საქმიანობა. საწარმოს მიმდინარე პერიოდში გააჩნია ის რესურსი, რომლთაც ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ფუნქციონირებადობისა და მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს სამი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის ფუნქციონირებადობას:

1. კომპანია ისევე როგორც წინა საანგარიშგებო პერიოდებში, მიმდინარე 2023 წელს არის მომგებიანი;
2. კომპანიას ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას მიღებული აქვს ფულადი სახსრები, რომლითაც იგი შეძლებს მომავალში საქმიანობის განხორციელებას.
3. მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური საწარმოს დაშვების პრინციპით. საწარმო მომავალში შეინარჩუნებს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსს და შეძლებს არსებული აქტივების დროულ რეალიზაციას და ვალდებულების დაფარვას.

3.2 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ვინაიდან კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ევროვნული ვალუტა ქართული ლარი („ლარი“ “GEL”),რომელიც ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმეტესობის ეკონომიკურ არსს. ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის ასევე გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე.

კომპანიას საქმიანობიდან გამომდინარე ხშირად უწევს უცხოური ვალუტის გამოყენებით ოპერაციების განხორციელება. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ელემენტი (აქტივები/ვალდებულებები) გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა და უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც იმაზეა დამოკიდებული, უცხოური ვალუტის მოძრაობები მოგების პოზიციაშია თუ ზარალის და აისახება მოგება და ზარალის

ანგარიშგებაში. კომპანია ოპერაციებისას ატიურად იყენებს შემდეგ უცხოურ ვალუტებს : ევრო (EURO), აშშ დოლარი (USD) და თუქრული ლირა (TRY).

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურში			
	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა
კურსი 31.12.2023	2.6894	2.9753	0.0910
კურსი 31.12.2022	2.7020	2.8844	0.1443

3.3 შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების თანხის ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ზემოთ აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადაიხედება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისიმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

3.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშგების თარიღისათვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლების გადაყვადა ხდება იმ ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით, რის შედეგადაც მოხდა მათი აღიარება, ხოლო რეალური ღირებულებით განსაზღვრული არაფულადი მუხლები გადაყვანა ხდება რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით და გადაფასებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღიარებისას იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულება მოიცავს შეძენის ღირებულებას, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციაში შესვლისათვის საჭირო აუცილებელი დანახარჯები. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა.

ცვეთის დაანგარიშებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ცვეთის დარიცხვას სავარაუდო სასარგებლო მომსახურების თვეების პროპორციულად. ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთის თანხა აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში, რომელიც თავისთავად თავს იყრის მოგება-ზარალის უწყისში. კომპანიას ძირითად საშუალებებზე არ აქვს გაანგარიშებული სალიკვიდაციო ღირებულება, ვინაიდან საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან არ ხდება დაშვება, რომ მომავალში აღნიშნული ძირითადი საშუალება გაიყიდება.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები პერიოდულად გადაიხედება კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და

საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ემყარება წარსულში არსებულ გამოცდილებას და მსგავსი ფუნქციონალური დანიშნულების მქონე აქტივის გამოყენებას, ასევე იმ გარემო ფაქტორებს სადაც მდებარეობს და გამოიყენება ესა თუ ის ძირითადი საშუალება ან არამატერიალური აქტივი.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად კომპანიის მხრიდან გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები):

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
უძრავი ქონება	20-50
სპეც. ტექნიკა	15
ოფისის აღჭურვილობა	3-12
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	10

ძირითადი საშუალების განახლება-შეკეთებისათვის გადახდილი თანხები, რომლებიც გაწეულია ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ფარგლებში კომპანიის მხრიდან აღიარდება მიმდინარე ხარჯად მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლება/მშენებლობასთან კაპიტალიზირდება , ჩანაცვლებული ნაწილი კი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში თუ მოხდა კონკრეტული ძირითადი საშუალების რეალიზაცია ან შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლისას სხვაობის გათვალისწინებით განისაზღვრება მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯი.

3.6 მარაგები

მარაგების აღიარება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის, განბაჟებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს დაუბრუნებადი (იმპორტის გადასახადი) გადასახადების ჩათვლით. გაყიდული მარაგების ღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული მარაგები წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7 აქტივების გაუფასურება

კომპანია ძირითად საშუალებებზე არ იყენებს გადაფასების მოდელს და ცვეთის დარიცხვა ხდება თავდაპირველი ღირებულებიდან. ასევე არ ხდება მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება.

3.8 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის (ზეპირი ან/და წერილობითი) მონაწილე. ფინანსურ აქტივებში მოიაზრება: ფულადი სახსრები, ფულადი სახსრების ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშზე.

კომპანიაში რეალიზაცია ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობით , მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვის გარეშე. სავაჭრო მოთხოვნები კომპანიის მხრიდან თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება არსებული მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ანალიზი, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა დადასტურებული ფაქტები იმისა, რომ დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებული ან ამოუღებელია. ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება გაუფასურების ზარალის დაუყოვნებლივ მოგება ან ზარალში აღიარება. თუ შემდგომში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა, კომპანია აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს ისე რომ იმაზე მეტად არ გაიზარდოს აქტივის საბალანსო ღირებულება ვიდრე იქნებოდა გაუფასურების ზარალის აღიარებამდე.

სხვა მოთხოვნების (გადახდილი ავანსები) აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ გადაფასდება.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას თუ:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

3.9 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის: (ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:

(i) სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
(ii) პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები.

(ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომლის თანახმად საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები.

კომპანია ფინანსურ სავაჭრო ვალდებულებას აღიარებს, როდესაც იგი ხდება სახელშეკრულებო (ზეპირი ან/და წერილობითი) ურთიერთობის მონაწილე მხარე. თავდაპირველად ფინანსური ვალდებულება აღიარდება გარიგების ფასით.

საბანკო სასესხო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები გაწევის მომენტშივე აღიარდება მოგება ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი და გაწევის მომენტშივე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

კომპანიის მხრიდან ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ვალდებულება დაიფარება , გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

3.11 ამონაგები

კომპანიისათვის ამონაგებს წარმოადგენს საქონლის (მცენარეებისა და ყვავილების) საცალო/საბითუმო მიწოდებით მიღებული შემოსავალი.

ამონაგები აღიარდება როდესაც:

• მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და

• შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების აღიარებისას გაითვალისწინება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი დღგ.

3.12 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანიას დაქირავებული პირების წინაშე წარმოეშვება ვალდებულება გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება, დაქირავებული პირის მიერ გაწეული შრომითი საქმიანობის სანაცვლოდ. კომპანიას ასევე წარმოეშვება ვალდებულება დაქირავებულ პირებზე გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად მოახდინოს ბიუჯეტში შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის ანგარიშსწორება, რომელიც წარმოადგენს ხელფასის ნაწილს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები კომპანიის მხრიდან აღიარდება, როგორც ვალდებულება თანამშრომლების წინაშე და ასევე გაწევის საანგარიშგებო თვეს აღიარდება, როგორც ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.14 ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედგები წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის მხრიდან ზოგადად ხარჯების აღიარება ხდება როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება. ხარჯები აღიარდება გაწევის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.15 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდზე იურიდიული პირები (კომპანია), გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები) არ არიან ვალდებულები გადაიხადონ მოგების გადასახადი მანამ, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან განაწილებულად მიჩნევა.

მოგების გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულება, რომელიც კომპანიისათვის წარმოადგენს ხარჯს. მოგების გადასახადის გაანგარიშება და ანგარიშსწორება ხორციელდება მოქმედი საგადასახადო კოდექსისი შესაბამისად. მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორიც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.16 დივიდენდი

კომპანიაში დივიდენდის გამოცხადების შემდეგ ხდება კაპიტალის შემცირება და იგი აღიარდება როგორც ვალდებულება დამფუძნებელთა წინაშე, კომპანიაში წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული და გაცემული საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

3.17 უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის არსებობა კომპანიაში დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მხრიდან იმის შეფასებაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ხელმძღვანელობის შეფასებისას გაითვალისწინება წარსული გამოცდილება, დავალიანების წარმოშობის ვადები და კლიენტთა სანდოობა.

3.18 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები

მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილება „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპით.

3.19 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის მხრიდან წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომების და მისი გავლენების შესწორება ხდება შესაძლებლობების ფარგლებში რეტროსპექტულად, გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობა	სპეციალური ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2021	**452,139.00**	**-**	**-**	**62,023.00**	**10,147.00**	**12,609.00**	**22,065.00**	**558,983.00**
შემოსვლა	-	188,350.00	18,163.00	-	102.00	17,967.00	13,096.00	237,678.00
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(11,045.00)	-	-	-	(11,045.00)
31 დეკემბერი 2022	**452,139.00**	**188,350.00**	**18,163.00**	**50,978.00**	**10,249.00**	**30,576.00**	**35,161.00**	**785,616.00**
შემოსვლა	330,549.00	14,554.00	-	-	33,383.00	2,271.00	-	380,757.00
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(17,048.00)	-	-	-	(17,048.00)
31 დეკემბერი 2023	**782,688.00**	**202,904.00**	**18,163.00**	**33,930.00**	**43,632.00**	**32,847.00**	**35,161.00**	**1,149,325.00**

ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი 2021	**-**	**-**	**-**	**(23,573.00)**	**(3,483.00)**	**(7,448.00)**	**(14,751.00)**	**(49,255.00)**
2022 წლის ცვეთა	-	(3,786.00)	(709.00)	(5,098.00)	(1,996.00)	(2,868.00)	(2,279.00)	(16,736.00)
გასვლა	-	-	-	4,510.00	-	-	-	4,510.00
31 დეკემბერი 2022	**-**	**(3,786.00)**	**(709.00)**	**(24,161.00)**	**(5,479.00)**	**(10,316.00)**	**(17,030.00)**	**(61,481.00)**
2023 წლის ცვეთა	-	(4,450.00)	(1,216.00)	(3,393.00)	(2,193.00)	(3,824.00)	(3,080.00)	(18,156.00)
გასვლა	-	-	-	9,802.00	-	-	-	9,802.00
31 დეკემბერი 2023	**-**	**(8,236.00)**	**(1,925.00)**	**(17,752.00)**	**(7,672.00)**	**(14,140.00)**	**(20,110.00)**	**(69,835.00)**

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2021	**452,139.00**	**-**	**-**	**85,596.00**	**13,630.00**	**5,161.00**	**36,816.00**	**509,728.00**
31 დეკემბერი 2022	**452,139.00**	**184,564.00**	**17,454.00**	**26,817.00**	**4,770.00**	**20,260.00**	**18,131.00**	**724,135.00**
31 დეკემბერი 2023	**782,688.00**	**194,668.00**	**16,238.00**	**16,178.00**	**35,960.00**	**18,707.00**	**15,051.00**	**1,079,490.00**

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8,147.00	6,511.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,724.00	245,426.00
სულ	**18,871.00**	**251,937.00**

6. სავჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	642,930.00	633,486.00
გადახდილი ავანსები	8,163.00	58,421.00
სულ	**651,093.00**	**691,907.00**

7. მარაგები

	2023	2022
საქონელი	195,191.00	562,765.00
სხვა სმფ	107,292.00	131,128.00
სულ	**302,483.00**	**693,893.00**

საქმიანობიდან გამომდინარე კომპანია ფლობს გასაყიდად გამიზნულ მარაგებს. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით, რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასსა და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სარეალიზაციო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

8. საგადასახადო აქტივები

	2023	2022
ხაზინის ერთიან კოდზე არსებული ზედმეტობა	6,414.00	-
ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელი	1,650.00	-
მიღებულ ავანსზე გადახდილი დღგ	125.00	-
სულ	**8,189.00**	**-**

9. სესხები

	2023	2022
სესხი პარტნიორებისგან	485,927.00	395,927.00
გრძელვადიანი სესხი	-	-
სულ	**485,927.00**	**395,927.00**

კომპანიას დამფუძნებლისგან აქვს აღებული უპროცენტო სესხი. სესხის დაფარვისათვის არ არის განსაზღვრული გადახდის გრაფიკი, სესხის დაფარვა ხდება კომპანიაში ფულადი რესურსების არსებობის შემთხვევაში.

კომპანიამ 2021 წელს სს „თიბისი ბანკი“-დან აიღო სესხის 85 000$ ოდენობით, როგორც გრძელვადიანი სესხი, თუმცა 2022 წელს სესხი წინსწრებით სრულად დაიფარა.

10. სავჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულება	118,482.00	137,954.00
მიღებული ავანსები	-	-
სულ	**118,482.00**	**137,954.00**

11. საგადასახადო ვალდებულებები

	2023	2022
საშემოსავლო გადასახადი	-	4,131.00
დღგ	-	705.00
ქონების გადასახადი	2,649.00	1,650.00
სხვა საგადასახადო ვალდებულება	-	-
სულ	**2,649.00**	**6,486.00**

12. ამონაგები

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	2136168.00	2,382,416.00
სულ	**2,136,168.00**	**2,382,416.00**

13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022
გაყიდული/შეძენილი საქონელი	(1,935,867.00)	(1,964,463.00)
სულ	**(1,935,867.00)**	**(1,964,463.00)**

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(264,694.00)	(228,429.00)
საკანცელარიო ხარჯი	(288.00)	(2,404.00)
კომუნიკაციის ხარჯი	(16,264.00)	(18,909.00)
ქონების გადასახადის ხარჯი	(3,586.00)	(2,463.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(18,581.00)	(17,161.00)
დაზღვევის ხარჯი	-	(1,450.00)
მივლინების ხარჯი	(15,222.00)	(20,050.00)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(845.00)	(1,243.00)
რემონტის ხარჯი	(7,717.00)	(2,065.00)
იჯარის ხარჯი	(90,112.00)	(71,140.00)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(58,546.00)	(50,693.00)
სულ	**(475,855.00)**	**(416,007.00)**

15. ფინანსური ხარჯები

	2023	2022
სესხის პროცენტი	-	(11,362.00)
სხვა ფინანსური ხარჯი	(86,450.00)	(195,297.00)
სულ	**(86,450.00)**	**(206,659.00)**

16. სხვა შემოსულობები

	2023	2022
არასაოპერაციო შემოსავალი	49,543.00	131,802.00
სულ	**49,543.00**	**131,802.00**

17. დირექტორსა და თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(264,694.00)	(228,429.00)
სულ	**(264,694.00)**	**(228,429.00)**

18. ფინანსური რისკები

კომპანიის რისკები იყოფა ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს,საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავში რებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლი ტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებს უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტო რული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის

ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

19. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 23 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გავლენას მოახდენდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.